მეთვრამეტე ფურცელი

18.04.02. მარტის ბოლოს თბილისში ვიყავით. ავთო-ბაბუ დილით სხვადასხვა ქაშებს გვიხარშავდა. დიმას ქაშები არ უყვარს, არ უნდოდა ჭამა. ლეილა ბებომ გადაწყვიტა ხერხი ეხმარა.

“-აი ნახე” უთხრა, “შეჭამე ეს წიწიბურას ქაში და გაიზრდები სამაღლეში”.

დიმა გაზრდის მეთოდმა დააინტერესა. იქვე კედელთან გაგვაზომინა სიმაღლე და ბევრი ქაში შეჭამა. როგორც კი მორჩა ისევ სიმაღლის გაზომვა მოგვთხოვა. ცოტა მეტი “გამოვიყვანეთ”. ძალიან აღფრთოვანდა. მეორე დღეს უკვე თვითონ მოითხოვა ქაში, შეჭამა და, გაგიკვირდაბათ, მაგრამ კვლავ გაიზარდა. შემდეგ უკვე თითქმის ყოველ კოვზზე იზრდებოდა. დროზე წამოვედით, თორემ მალე ჩვენი ბინის სიმაღლე ვეღარ დაიტევდა დიმიტრის.

ახლა იაპონიაში რომ ჩამოვედით, აქაც წიწიბურას ქაში მოითხოვა “გასაზრდელად”. იაპონიაში წიწიბურა არ იყიდება. აქ წიწიბურასგან სპეციალურ მაკარონებს, ე.წ. “სობა”-ს ამზადებენ. ავუხსენით ეს ამბავი, ახლა სობას ითხოვს თუმცა ადრე დასანახად ეზიზღებოდა. სასაცილო ისაა რომ მართლაც საკმაოდ გაიზარდა თბილისში ყოფნისას.

13.05.02. ნამეტანი კულტურული კაცი გვეზრდება ბატონი დიმიტრი. გუშინ საღამოს ბევრი წვენი დალია, ჰოდა, მარცხი რომ არ მოგვსვლოდა, გადავწყვიტე ღამეს ტუალეტში გამეყვანა. ძინავს ღრმად, ვერ ავაყენე ფეხზე. ავიყვანე ხელში და წავიღე ტუალეტში, მივაყენე უნიტაზთან (ძინავს), მოვაფისებინე (ფსს,ფსს...,), მოფისა (ძინავს), შარვალი ავუწიე (ძინავს). ისევ ხელში ავიყვანე საწოლში წასაყვანად. როგორც კი ტუალეტის კარები გამოვიხურე, მეუბნება:

“- ახლა ხელები უნდა დავიბანო!”

არაფრით არ დამეთანხმა საწოლში დაწვენაზე სანამ ხელები საპნით არ დავბანე. ისე ხელები უფრო მე მქონდა დასაბანი, დიმას ხელიც არ გაუნძრევია.

გუშინ იაპონიაში დედის დღეს ზეიმობდნენ. დიმა წინასწარ მოემზადა ამ დღესასწაულისთვის. ინგლისურის კლასში რომ იყო გუშინწინ საჩუქარი დაამზადა. მერე როცა სახლში ბრუნდებოდნენ ნატოსთან ერთად, ეუბნებოდა:

“- ჩემს ჩანთაში არ ჩაიხედო, შენი საჩუქარი იქ არა მაქვს“.

დილით კი ნატოს ძლივს აცალა გაღვიძება, მოვარდა, თავისი გაკეთებული ყვავილები აჩუქა, ჩაეხუტა, აკოცა. მერე ცდილობდა ყველანაირად სასარგებლო ყოფილიყო, მოხმარებოდა. თავისი სკამიც კი დაუთმო: ნატო ჩვეულებრივ სამზარეულოსთან ახლოს შესასვლელში ზის, ადვილია რაღაცის გამოტანა რომ დაჭირდება. ჰოდა, დიმამ თავის სკამზე დასვა და თვითონ გოგონებთან ერთად გვემსახურებოდა საუზმეზე.

რომ ვისაუზმეთ, დიმამ შეგვატყობინა რომ ნატო აუცილებლად რესტორანში უნდა წაგვეყვანა. ამაზე რომ დაგვითანხმა, უფრო შორს წავიდა და შემოგვთავაზა ნატო “ბენილანდოში” (დისნეილენდის პატარა კოპია სენდაიში) წაგვეყვანა. ცუდმა ამინდმა გვიშველა, თორემ ამაზეც დაგვითანხმებდა. მე გავიხუმრე, ხომ არ გგონია რომ დედიკოს ახალი კომპიუტერის თამაშიც გაეხარდება-მეთქი? დიმა წამით დაფიქრდა, მაგრამ მერე სინანულით თქვა:

“-ალბათ არა, ვერ შევაჩვიე დედიკო კომპიუტერზე თამაშს.”